რა არის წითელა და როგორ ვრცელდება ?

წითელა მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ჰაერით ვრცელდება

ვინ არის წითელას ინფექციის წყარო ?

ინფექციის წყარო არის დაავადებული ადამიანი. ვირუსი ბინადრობს ავადმყოფის ცხვირისა და პირის ღრუს ლორწოვანში. ლაპარაკის, ხველების და ცემინების დროს იგი იფრქვევა და ვრცელდება ჰაერში, რაც იწვევს კონტაქტში მყოფთა დაინფიცირებას.

ვის შეიძლება დაემართოს წითელა ?

თითქმის ყველას, ვისაც არ აქვს წითელას საწინააღმდეგო იმუნიტეტი. ვირუსთან კონტაქტის შემდეგ ავადდება იმუნიტეტის არმქონე ინდივიდების თითქმის 100%

რა არის წითელას სიმპტომები ?

- ✓ მაღალი ტემპერატურა
- ✓ ხველება
- ✓ ცემინება
- ✓ კონიუნქტივიტი
- ✓ ყელის ტკივილი
- ✓ 5-6 დღის შემდეგ გამონაყარი

როდის არის წითელათი დაავადებული ადამიანი გადამდები ?

ინფიცირებულები გადამდებად ითვლებიან გამონაყარის დაწყებამდე 4 დღის და გამონაყარის დაწყებიდან 4 დღის განმავლობაში.

რა არის წითელას გართულებები ?

ყველაზე ხშირი გართულებებია:

- ✓ ოტიტი
- ✓ პნევმონია
- ✓ დიარეა
- ✓ პოსტინფექციური ენცეფალიტი

წითელასაგან თავის დაცვა მხოლოდ ვაქცინაციით არის შესაძლებელი!

არ გადადო, აიცერი!

NCDC

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH